საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-08/2193
19/05/2026

2193-08-2-202605191550

შპს „ქანქას“-ს დირექტორს
ბატონ უღულ მემიშოღლუს

ქ.თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. N19ა
ტელ:577356677

ბატონო უღულ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის N167/04 ბრძანებით დამტკიცებული „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პუნქტმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს ანგარიშგება, საქართველოს ეროვნული ბანკის NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის საშუალებით, საანგარიშგებო თვის დამთავრებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში, ,,NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 აპრილის N69/04 ბრძანებით განსაზღვრული წესით, რაც თქვენ მიერ არ შესრულებულა.

გევალებათ, წერილის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოთ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მ/წლის მარტისა და აპრილის თვეების ანგარიშგებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საზედამხედველო ღონისძიებები, მათ შორის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმება.

პატივისცემით,

ნინო ჯელაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი